



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 23 თებერვალი , 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო “იოტა”

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
2. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
3. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია „
4. ირინა სვანიძე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
5. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
6. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

განსახილველი საკითხები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ
2. ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2018 წლის საერთო კრების შესახებ ანგარიშის მომზადება - მე-3 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორთა დასახელება.
3. სხვა საკითხები

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა თამაზ ვაშაკიძემ, რომელმაც საუბარი დაიწყო ჯგუფის გასული წლის საქმიანობის შეჯამებით. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციები მუშაობენ, აქვთ კონკრეტული მიღწევები თუმცა პლატფორმაში არსებული ჯგუფების მუშაობა მან არადადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს სამოქალაქო საზოგადოების როლზე, და პლატფორმის წევრი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ქალბატონმა რუსუდან სიმონიძემ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის საუკეთესო მაგალითად მოიყვანა ქალთა უფლებათა დამცველი გენდერული ორგანიზაციები და ხაზი გაუსვა მათ აქტიურ საქმიანობას. ქალბატონმა რუსუდანმა განაცხადა, რომ პლატფორმის საქმიანობის ვექტორები არის შესაცვლელი და აუცილებელია აქტიური გახდნენ პლატფორმის წევრი ორგანიზაციები ერთობლივ ქმედებებში.

ჯგუფმა ისაუბრა გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის საკითხებზე. ჯგუფის კოორდინატორმა მოიყვანა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები და ასევე საქართველოში განხორციელებული ის აქტივობები, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვაზე. მაგალითად მან მოიყვანა რაბათზე მზის პანელების დაყენება, რომელიც სრულად უზრუნველყოფს რაბათს ელექტროენერგიით. ასევე მოიყვანა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები, რომლებიც ეტაპობრივად ცდილობენ მზის ენერჯის გამოყენებას და გადადიან ენერჯის მიღების ამ ალტერნატიულ გზაზე.

ჯგუფის კოორდინატორებმა ჩამოაყალიბეს ის საკითხები, რომლებზეც საერთო კრებაზე ისაუბრებენ და დამსწრე საზოგადოებას განუმარტავენ თავიანთ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს, ასევე დასვამენ მწვავე საკითხებს, რომელზეც კრებას მოუწევს მსჯელობა. მაგალითად ერთ-ერთი საკითხად ბატონმა თამაზმა დააყენა ის ფაქტი, რომ გარემოს დაცვის და ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმებით, მთავრობამ აჩვენა რომ მისთვის ეს საკითხები ნაკლებად პრიორიტეტულია და გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება.

ქალბატონმა ნანა ფიროსმანაშვილმა ჯგუფის წევრებს სთხოვა თავიანთი მოსაზრებები გამოეთქვათ იმ საკითხზე, თუ მომავალში როგორ ხედავენ ისინი პლატფორმის საქმიანობას. რაზეც ქალბატონმა მანანა დევიძემ განაცხადა, რომ აუცილებელია ერთობლივი პროექტების და ქმედებების დაგეგმვა. ქალბატონმა რუსუდანმა ისევ აღნიშნა, რომ აუცილებელია აქტიური ქმედებების დაგეგმვა და პრობლემური საკითხების ჩამოყალიბება და მთავრობისთვის მიმართვა, ასევე ამ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. ბატონმა დავითმა კი განაცხადა, რომ აქტიურობა ჯგუფების მუშაობაში არის უმთავრესი.

მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატებად მსჯელობის შედეგად დასახელდნენ ქალბატონი ნანა ფიროსმანიშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია და მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი : ქეთევან ჭურაძე